ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №50

2021 წლის 27 დეკემბერი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სორში მდებარე 3452.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (ს/კ 88.08.22.154) სარგებლობის უფლებით სასყიდლით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სორში მდებარე 3452.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (ს/კ 88.08.22.154) გადაეცეს სარგებლობის უფლებით სასყიდლით (წელიწადში 167.5 ლარი) ა(ა)იპ ფეა თრიიზ ფაუნდეიშენ-ს სარგებლობაში 25 წლის ვადით, შემდეგში The Royal Danish Academy –თან თანამშრომლობით 2022 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო სკოლების ფუნქციონირებისთვის.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ78.782201210

თარიღი:12/01/2022

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სორში მდებარე 3452.0 კვ.მ. (ს/კ 88.08.22.154) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით სასყიდლით გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" და „დ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის N50 განკარგულების და 2021 წლის აუდიტორული დასკვნის N260/05-1 (აუდიტოტი ლია ცუცქირიძე) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაეცეს სარგებლობის უფლებით, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სორში მდებარე 3452.0 კვ.მ. (ს/კ 88.08.22.154) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, სასყიდლით (თვეში 167.5 ლარი) ა(ა)იპ ფეა თრიიზ ფაუნდეიშენ-ს სარგებლობაში 25 წლის ვადით, შემდეგში The Royal Danish Academy –თან თანამშრომლობით, 2022 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო სკოლების შექმნისა და ფუნქციონირებისათვის, ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი